„ვამტკიცებ“

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის
სპორტის განვითარებისა და
ხელშეწყობის სააგენტოს დირექტორი
გიორგი პურიჭამიაშვილი

„შეთანხმებულია“

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის
პრეზიდენტის მოვალეობის
შემსრულებელი ლევან ნოზაძე

ანზორ ქიბროწაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი

2007-2009 დაბადებულთა შორის

დებულება

12-13 დეკემბერი 2026

გორი

მიზანი და ამოცანები

ტურნირი მიზნად ისახავს ძიუდოს პოპულარიზაციას და განვითარებას, ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენას, სახელოვანი ძიუდოისტის სახელის უკვდავყოფას.

შეჯიბრების ორგანიზატორები

შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს გორის მუნიცილაპიტეტის მერია, ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო და საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული მსაჯთა კოლეგია. ტურნირი უზრუნველყოფილი იქნება ვიდეოგადაღებით.

შეჯიბრების მონაწილენი

შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ **2007-2009** წლებში დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები.

შეჯიბრების ჩატარების პირობები, დრო და ადგილი

შეჯიბრება ჩატარდება 2026 წლის 12-13 დეკემბერს გორის სპორტის სასახლეში, თამარ მეფის ქ. V კვარტალი 12 ა (ჭალის დასახლება).

ჩამოსვლის დღე - 11 დეკემბერი. წასვლის დღე - 14 დეკემბერი.

კენჭისყრა ჩატარდება აწონვების შემდეგ.

შეჯიბრების დასაწყისი 10:00.

რეგისტრაცია

ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან https://admin.judomanager.com . შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომელთა კლუბებიც 5 დეკემბრამდე ელექტრონულად შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას.

რეგისტრაციის გარეშე ძიუდოისტები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.

შეჯიბრების ჩატარების სისტემა

შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით. ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე.

შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში 7 წონით კატეგორიაში:

12 დეკემბერი: -60კგ, -66კგ, -73კგ,

13 დეკემბერი: -81კგ, -90კგ, -100კგ, +100კგ.

- რეგისტრაციის შემდეგ შეიძლება შეიცვალოს წონით კატეგორიებში შეჯიბრების ჩატარების დღეები.

აწონვა

აწონვები ჩატარდება წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრების წინა დღეს გორის სპორტის სასახლეში. ყველა მონაწილემ აწონვის დროს უნდა იქონიოს პირადობის მოწმობა ან პასპორტი.

არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათებში;

ოფიციალური 17:00 – 18:00 საათებში;

გამარჯვებულთა დაჯილდოება

თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის თასებით, მედლებით და სიგელებით.

შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები. შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი.

დებულება ითვლება შეჯიბრებაზე ოფიციალურ მოწვევად.

საკონტაქტო ტელეფონი:

598120508 გიორგი ქოთოლაშვილი;

577994407 ზურაბ უსუფაშვილი